გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 81

2025 წლის 13 ივნისი
ქალაქი გორი

ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 11 ივნისს შემოსულია გორის რაიონული სასამართლოდან გზავნილი ადმინისტრაციულ საქმეზე №3/114-25, №140310025011476804, მოსარჩელე: რუსუდან საური. მოპასუხე: 1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონალური ოფისი, 2. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 3. გორის მუნიციპალიტეტის მერია, 4. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, თუ მუნიციპალიტეტის საკრებულომ სხვა გადაწყვეტილება არ მიიღო, საქართველოს საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მუნიციპალიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. 2025 წლის 05 მაისდან მერის უფლებამოსილებას ასრულებს კონსტანტინე ბუზალაძე. იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში ასევე მონაწილეობს გორის მუნიციპალიტეტის მერია, მიზანშეწონილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულომ მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ზ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. დაინიშნოს გორის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი კონსტანტინე ბუზალაძე ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირად ადმინისტრაციულ საქმე №3/114-25, №140310025011476804,

2. გორის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი კონსტანტინე ბუზალაძემ ან მის მიერ უფლებამოსილმა პირმა ადმინისტრაციულ საქმე №3/114-25, №140310025011476804, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით აწარმოოს საქმეები ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში და ისარგებლოს ყველა იმ უფლებით რომლითაც სარგებლობს მხარე, მათ შორის აღძრას სარჩელი, უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, ცნოს სარჩელი, შეცვალოს სარჩელის საგანი, მორიგებით დაამთავროს საქმე, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, უარი თქვას სასამართლოს გადაწყვეტილებების და განჩინებების გასაჩივრებაზე, დააყენოს შუამდგომლობები, წარმოადგინოს მტკიცებულებები, აიღოს სააღსრულებო ფურცელი.

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე